

1963 / 3 .

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური კავშირების



უმალღესი საბჭოს უნყებები

№ 22 (219)

10 აგვისტო

1963 წელი

შ ი ნ ა რ ს ი

ნაწილი I

ბანყოფილება პირველი

- 348. გრძელვადიანი საეკონომიკური შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის.
- 349. საეკონომიკური შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ლაოსის სამეფოს შორის.
- 350. საგადასახდლო შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ლაოსის სამეფოს შორის.
- 351. შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დანიის სამეფოს შორის.
- 352. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის თაობაზე საბჭოთა კავშირ-დავითის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.
- 353. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საიმის არხის საბჭოთა ნაწილისა და კუნძულ მალი ვისოცის ფინეთის რესპუბლიკისათვის იჯარით გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

ბანყოფილება მეორე

- 354. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხარკოვის ორჯონიკიძის სახელობის ტრაქტორების ქარხნის დირექტორის ან. პ. ე. საბლევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 355. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ან. პ. თ. კლიუჩკოს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 356. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნ. კ. ვედრიცევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 357. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ან. ს. კ. ბოიკოს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 358. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მხატვარ ბ. ვ. ილინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.



- 359. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ-ს პუბლიკაში მცხოვრებ მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 360. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ი. ა. თულიაკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 361. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ა. ი. ალექსეევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მისამი

საინფორმაციო ცნობა.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ს. ტოტამისოვის გაწვევის შესახებ.

ნაწილი II

ბანყოფილება პირველი

- 362. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესასრულებლად აშხ. ნ. ი. ერქომაიშვილისა და აშხ. შ. დ. თორიას დაშვების შესახებ.
- 363. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში პატიების შუამდგომლობათა განხილვის წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 4 დეკემბრის დადგენილებაში დამატებათა შეტანის შესახებ.

ბანყოფილება მეორე

- 364. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახუნდოვის სახელობის ბაქოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 365. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 366. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

ბანყოფილება მისამი

საინფორმაციო ცნობა.

ნ ა წ ი ლ ი I

განყოფილება პირველი

348 გრძელვადიანი საგაზრო შეთანხმება საგაზრთ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობა, რომლებიც ხელმძღვანელობენ შვედობიანი თანაარსებობის პრინციპებით და რომლებსაც ამოქმედებთ სურვილი თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე განავითარონ მეგობრული თანამშრომლობა და არსებული სავაჭრო ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

შეთანხმების დამდები მხარეები შექმნიან უმეტესი მფარველობით მოსარგებლე ერის რეჟიმს ყველა საკითხში, რაც კი ეხება ვაჭრობას და ზღვაოსნობას ორივე ქვეყანას შორის. ეს რეჟიმი, კერძოდ, გამოყენებული იქნება ამ შეთანხმების 2—5 მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებში.

მუხლი 2

შეთანხმების დამდები მხარეები ერთმანეთს შეუქმნიან უმეტესი მფარველობით მოსარგებლე ერის რეჟიმს ყველაფერში, რაც კი ეხება საბაჟო საკითხებს, კერძოდ, ბაჟს, გადასახადებსა და სხვა გამოსაღებებს, აგრეთვე წესებსა და ფორმალობებს, რომლებსაც იყენებენ საქონლის საბაჟო დამუშავების დროს.

მუხლი 3

შინაგამოსაღები, რომლითაც რომელიმე საქონლის წარმოება, დამუშავება, მიმოქცევა ან მოხმარება იბეგრება შეთანხმების დამდები ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე, იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვის სასარგებლოდ და ვისა სახელით ხდება მისი გადახდევინება, შეთანხმების დამდები მეორე მხარის მიწის ნაყოფს და მრეწველობის ნაწარმს არავითარ შემთხვევაში არ გადახდება იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე რომელიმე მესამე სახელმწიფოს ანალოგიურ ნაწარმს.

მუხლი 4

შეთანხმების დამდები თითოეული მხარე არ გამოიყენებს რაიმე შეზღუდვას ან აკრძალვას შეთანხმების დამდები მეორე მხარის ტერიტორიიდან შემოზიდვის ანდა შეთანხმების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე გაზიდვის მიმართ, თუკი ასეთი შეზღუდვა ან აკრძალვა არ არის გამოყენებული ყველა სხვა სახელმწიფოს მიმართ.

მუხლი 5

რაც შეეხება იმ წესებსა და ფორმალობებს, რომლებიც ეხება საკითხს, თუ როგორ მოხდეს შეთანხმების დამდები ერთ-ერთი მხარის მიწის ნაყოფის და მრეწველობის ნაწარმის ტრანზიტი მეორე მხარის ტერიტორიაზე, იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი რეჟიმი არ შეიქმნება, ვიდრე რომელიმე მესამე სახელმწიფოს სატრანზიტო ტვირთისათვის.

მუხლი 6

საქონელგაცვლა სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის განხორციელდება ამ შეთანხმების დადგენილებათა შესაბამისად, აგრეთვე ორივე ქვეყანაში მოქმედი იმპორტისა და ექსპორტის კანონებისა და წესების შესაბამისად იმ პირობით, რომ ეს კანონები და წესები გავრცელდება ყველა ქვეყანაზე.

მუხლი 7

1963 წლის 1 იანვრიდან 1966 წლის 1 იანვრამდე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან სსრ კავშირში და სსრ კავშირიდან არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში საქონლის მიწოდება განხორციელდება ამ შეთანხმების დანართი ა და ბ სიების შესაბამისად.

ა სიაში აღნიშნულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში საექსპორტო საქონელი.

ბ სიაში აღნიშნულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში საექსპორტო საქონელი.

ეს სიები შეიძლება შეიცვალოს ან შეივსოს შეთანხმების დამდები ორივე მხარის ურთიერთმორიგებით ხელშეკრულების მორიგი წლის დაწყებამდე.

ორივე მხარე კისრულობს, ვიდრე არ შესრულდება ზემოხსენებულ ა და ბ სიებში აღნიშნული საქონლის კონტინგენტების მთლიანი მოცულობა, დროულად გასცეს საჭირო საიმპორტო და საექსპორტო ლიცენზიები, და ყველა ზომას მიიღებს, რათა უზრუნველყოს მიწოდებათა სათანადო შესრულება აღნიშნული სიების შესაბამისად.

მუხლი 8

ორივე მთავრობა ხელს შეუწყობს განვითარდეს ორივე ქვეყანას შორის იმ საქონლით ვაჭრობაც, რომელიც ჩამოთვლილი არ არის ამ შეთანხმების 7 მუხლში მოხსენიებულ ა და ბ სიებში.

ორივე მთავრობის კომპეტენტური ორგანოები ქვეშარიტი თანამშრომლობის სულისკვეთებით განიხილავენ ასეთი საქონლის შესაბამისი საიმპორტო და საექსპორტო ლიცენზიების გაცემის საკითხებს.

მუხლი 9

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განხორციელდება კონკურენციის უნარის მქონე ფასებით, რომლებიც დადგენილ იქნება შესაბამისი საქონლის მსოფლიოს ძირითადი ბაზრების ფასების საფუძველზე.

მუხლი 10

ყველა თანხა იმ კონტრაქტებში, რომლებიც ამ შეთანხმების თანახმად სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობას ეხება, გამოხატული იქნება გირვანქა სტერლინგებით ან სხვა თავისუფლად კონვერსირებადი ვალუტით.

მუხლი 11

ყველა გადასახდელი, წარმოშობილი ამ შეთანხმების შესრულების გამო, განაღდებული იქნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის 1962 წლის 23 ივნისს დადებული საგადასახდლო შეთანხმების დადგენილებათა შესაბამისად.

მუხლი 12

ერთი ქვეყნიდან მეორეში იმპორტირებული საქონლის რეექსპორტირება არ მოხდება ისე, თუ ამაზე წინასწარ არ დათანხმდება საქონლის წარმოშობის ქვეყნის კომპეტენტური ორგანოები, ქვეყნისა, რომელიც ამ შეთანხმების მხარეა.

საქონლის გაცვლის გარიგებანი არ შეიძლება დაიდოს ორივე ქვეყნის შესაბამისი ორგანოების წინასწარი თანხმობის გარეშე.

მუხლი 13

ორივე ქვეყანას შორის ვაჭრობის შემდგომი განვითარების მიზნით შეთანხმების დამდები მხარეები საჭირო დახმარებას აღმოუჩენენ ერთმანეთს საეჭრო ბაზრობებისა და გამოფენების მოწყობაში.

მუხლი 14

იმ პირობით, რომ დაიცავენ თავ-თავიანთ ქვეყნებში მოქმედ კანონებსა და წესებს, ორივე მხარე ბაჟის, გადასახადებისა და სხვა მსგავსი გამოსაღების გადაუხდევინებლად ნებას დართავს ისეთი საგნების იმპორტს და ექსპორტს, როგორც არის:

ა) მხოლოდ შეკვეთების მიღების მიზნით და რეკლამებისათვის საჭირო საქონლის ნიმუშები და სარეკლამო მასალა;

ბ) შეცვლის მიზნით შემოტანილი საგნები, თუკი შეცვლილი საქონელი უკან იქნება გატანილი;



გ) საგნები და ინსტრუმენტები, განკუთვნილნი მონტაჟისა და აწყობისთვის, რომლებიც შემოაქვთ მონტიორებს ანდა რომლებსაც უგზავნიან მათ, იმ პირობით, რომ ასეთი საგნები და ხელსაწყოები უკან იქნება გატანილი;

დ) საგნები, განკუთვნილნი ექსპერიმენტების ან გამოცდების ჩასატარებლად ანდა რემონტისათვის, იმ პირობით, რომ ეს საგნები რემონტის ანდა საჭირო ექსპერიმენტების და გამოცდების ჩატარების შემდეგ უკან იქნება გატანილი;

ე) საგნები და საქონელი მუდმივი ან დროებითი ბაზრობების ანდა გამოფენებისათვის იმ პირობით, რომ ეს საგნები და საქონელი არ გაიყიდება;

ვ) გასაგებად მოტანილი მარკირებული ტარა, აგრეთვე ტარა, რომელშიც მოთავსებულია შემოსატანი საგნები და რომელიც დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ უკან უნდა იქნეს გატანილი.

მუხლი 15

ერთი ქვეყნიდან მეორეში ექსპორტირებული საქონლის საბანკო ოპერაციების, დაზღვევისა და ტრანსპორტირების საკითხებში უპირატესობა მიენიჭებათ შეთანხმების დამდები მხარეების ეროვნულ ბანკებს, დაზღვევის კომპანიებსა და სატრანსპორტო ორგანიზაციებს, რომლებიც წამოაყენებენ დამაკმაყოფილებელ განაკვეთებსა და პირობებს.

საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკის კომპანიები და ორგანიზაციები თავ-თავიანთ სავაჭრო აგენტებად დანიშნავენ მხოლოდ თავ-თავიანთი ქვეყნის მოქალაქეებს.

მუხლი 16

ორივე მხარე შეთანხმდა, რომ ამ შეთანხმების შესრულებისთვის ხელის შეწყობის მიზნით კონსულტაცია გაუწიონ ერთმანეთს ყოველ საკითხზე, რომელიც ამ შეთანხმებიდან ან მასთან დაკავშირებით წარმოიქმნება.

ამისათვის ისინი შექმნიან შერეულ კომისიას, რომელიც ერთ-ერთი მხარის წინადადებით შეიკრიბება მოსკოვში ან კაიროში შესაბამისი წინადადებების თარიღიდან სულ ბევრი 45 დღის ვადაში და, თუ საჭირო იქნება, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

მუხლი 17

ამ შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ მისი დადგენილებები გამოიყენება ყველა იმ კონტრაქტის მიმართ, რომლებიც დაიდება მისი მოქმედების პერიოდში და არ იქნება შესრულებული შეთანხმების ვადის გასვლის მომენტისათვის.

მუხლი 18

ეს შეთანხმება შეცვლის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ეგვიპტის რესპუბლიკას შორის 1954 წლის 27 მარტს დადებულ სავაჭრო შეთანხმებას, მის ყველა ცვლილებას და დამატებას.

მუხლი 19

ეს შეთანხმება იმოქმედებს 1963 წლის 1 იანვრიდან 1966 წლის 1 იანვრამდე. იგი რატიფიცირებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება მალე და საბოლოოდ ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის თარიღიდან.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება კაიროში.

ყოველ შემთხვევაში შეთანხმება დროებით იმოქმედებს 1963 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 20

ეს შეთანხმება უსიტყვო თანხმობით განახლება ყოველი მომდევნო სამი წლის პერიოდით მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე შესაბამისი პერიოდის გასვლამდე 90 დღით ადრე წერილობითი გაფრთხილებით არ მოახდენს მის დენონსაციას.

ამასთან შეთანხმების მოქმედების შემდგომ პერიოდებში ურთიერთმისაწოდებელი საქონლის კონტინგენტები დადგენილ იქნება მხარეებს შორის ურთიერთმორიგებით.

რის დასადასტურებლად თავ-თავიანთი მთავრობების მიერ სათანადო რწმუნებებით აღჭურვილმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

დადებულია მოსკოვში 1962 წლის 23 ივნისს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და არაბულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების

კავშირის მთავრობის რწმუნებით

ბ. კუშინიანი.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის

მთავრობის რწმუნებით

ბ. მ. კაისუნი.

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1963 წლის 12 იანვარს; არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1962 წლის 22 დეკემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა კაიროში 1963 წლის 26 იანვარს.



დ ა ნ ა რ თ ი

სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის 1962 წლის 23 ივნისს დადებული გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმებისა

ს ი ა ბ

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში სავექსპორტო საქონლისა

		1963 წელი	1964 წელი	1965 წელი
ბამბის ბოჭკო	ათას ტონობით	75	75 — 80	80 — 85
ბამბის ნართი	ტონობით	3000	4000	5000
ბამბის ქსოვილები	ათას მეტრობით	2000	3000	5000
მატყლი			მოსაგონებლად	მოსაგონებლად
ბრინჯი	ათას ტონობით	60	70	80
ტყაის ნედლეული			მოსაგონებლად	მოსაგონებლად
არაქისი	ტონობით	500	1000	1500
ქუჩუთი	ათასი გირვანქა სტერლინგისა	150	150	150
პარკელადი სპილენძი			მოსაგონებლად	მოსაგონებლად
ციტრუსოვანთა ნაყოფი	ტონობით	3000	3500	4000
ბანანი	ათასი გირვანქა სტერლინგისა	200	300	400
ნაწლავები			მოსაგონებლად	მოსაგონებლად
ბენზინი	ათას ტონობით	70	—	—
სხვადასხვა საქონელი (ბამბის და შალის ტრიკოტაჟი, ტყაის ფეხსაცმელი, ნატურალური ღრუბელი, ნიორი, ხალიჩები, კუსტარულ-მხატვრული ნაწარმი და სხვა)	ათასი გირვანქა სტერლინგისა	1000	1000	1000

(ბ სიის „სხვადასხვა საქონლის“ პოზიციით სსრ კავშირიდან საქონლის იმპორტის პირობით)

ნაბეჭდი ნაწარმოებები კიბოფილმები

პ. კ. (პ. კუშიკინი)

ბ. მ. პ. (ბ. მ. პაიხუნი)

დ ა ნ ა რ თ ი

სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის 1962 წლის 23 ივნისს დადებული გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმებისა

ს ი ა ბ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში სავექსპორტო საქონლისა

		1963 წელი	1964 წელი	1965 წელი
მანქანები და მოწყობილობა	ათასი გირვანქა სტერლინგისა	6400	6700	7200

აქედან:
ლითონსაჭრელი და ხის დასამუშავებელი ჩარხები;
სტაციონარული დიზელები და დიზელის ელექტრო-
სადგურები;
ელექტროტექნიკური მოწყობილობა;
სამშენებლო მანქანები;
რკინიგზის მოწყობილობა;
ამწეები და ელევატორები;
ექსკავატორები, გზის სამშენებლო მანქანები (ბულ-
დოზერები, სკრეპერები, ავტოგრიდერები და
სხვა);
სამთამბნო მოწყობილობა;
საბურღი და ნავთობგადასამუშავებელი მოწყობილობა;
ელექტრო და აირშესადული მანქანები;
ტუმბოები და კომპრესორები;
ავტომობილები (მსუბუქი, სატვირთო და საეცალე-
რი);

მოტოციკლები;
თვიომფრინავები და ვერტმფრინავები;
ხომალდები და ხომალდების მოწყობილობა;
სხვადასხვა ტრაქტორები;
სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღი;
საფეიქრო მანქანები და მსუბუქი მრეწველობის სხვა
მოწყობილობა;

პოლიგრაფიული მოწყობილობა;
კვების მოწყობილობა;
ბურთულა და გორგოლაქსაკისრები;
საჭრელი ინსტრუმენტი, საზომი ხელსაწყოები და
სტრუმენტი;

კინოაპარატურა და ოპტიკური ხელსაწყოები;
მაიკრონი მანქანები და ქიმიური მოწყობილობა;
აბრაზიული მასალა;
სხვადასხვა მანქანების, მოწყობილობისა და ხელსა-
წყოების სათადარიგო ნაწილები;

სხვა მანქანები, მოწყობილობა და ხელსაწყოები.	ათას ტონობით	1250	—	—
ნედლი ნავთობი	"	150	300	350
სადიზელე სათბობი	"	90	90	90
თუჯი	"	2—3	3—4	4—5
ფეროშენადნობები	"	25	25	25
შავი ლითონების ნაგლინი	"	5	5	5—6
ფოლადის მილები	"	3—4	3—4	3—4
მოთუთიებული ფურცელი	ტონობით	3000	3000	3000
თეთრი თუნუქი	"	200	200	200
უქანგავი ფოლადი	"	400—600	400 — 600	400—600
ციკლიმული ხარისხოვანი ფოლადი	"	1000	1500	1500
თუთია	"	1000	1000	1000
ტყვია	"	3000	3000	3000
ალუმინი	"	—	200	200
სტიბიუმი	"	500	500	500
ალუმინის ნაგლინი	"	300—400	300 — 400	300—400
თუთის ნაგლინი	"			
სპილენძ-ნიკელისა და თითბერის ნაგლინი	"	250	250	250
ფოსფოროვანი ბრინჯაოს ბადე				
	ათასი გირვანჯა			
	სტერლიზაციისა	4	4	4
კაბელი	კლომეტრობით	50	50	50
ავტომობილების სალტეები	ათას გირვანჯა	40	40	40
	სტერლიზაციისა			

		1963 წელი	1964 წელი	1965 წელი
ქვანახშირი და კოქსი	ათას ტონობით	200	200	200
ამონიუმის სულფატი	" "	და მეტი	და მეტი	და მეტი
დაზერხილი ხე-ტყე	ათასი კუბური მეტრობით	5	5	5
ფანერა	" "	280	280	280
		6,5	6,5	6,5
ცელულოზა	ათას ტონობით	5-7	და მეტი	და მეტი
შპალები	ათას ცალმობით	300	7-10	12-15
ვაზეთის ქაღალდი	ათას ტონობით	5	10	10
სხვა ქაღალდი	ათას ტონობით	5	5	5
მერქანისა და ბოჭკოს ფილები	ათას კვადრატულ მეტრობით	750	750	750
ქიმიური პროდუქტები	ათასი გირვანქა სტერლინგისა	200-280	240	280
სადგამები და ლაცხალები			—	280
მასალა	" "	150	170	180
სოფლის მეურნეობის მიკნე-ბელთა წინააღმდეგ ბრძოლის პრეპარატები	" "	24	32	40
მედიკამენტები და სამკურნალო ტექნიკური ნედლეული	" "	140	145	150
სამედიცინო მოწყობილობა და ინსტრუმენტი	" "	10	12	15
თამბაქო	ათას ტონობით	250	300	350
სხვადასხვა საქონელი (საათები, ფოტოაპარატები, ტელევიზორები, საკანცელარიო და სპორტული საქონელი, კინო-ფოტოფირი, ლითონისა და ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭელი, სანადირო ნივთები, ელექტროსაყოფაცხოვრებო ხელსაწყოები და ელექტრონათურები, გრამოფონის ფირფიტები, მუსიკალური ინსტრუმენტები, კუსტარულ-მხატვრული ნაწარმი, თევზისა და რძის კონსერვები, ხიზილა და სხვა)	ათასი გირვანქა სტერლინგისა	1000	1000	1000

(ა სიის „სხვადასხვა საქონლის“ პოზიციით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან საქონლის იმპორტის პირობით)

ნაბეჭდი ნაწარმოებები
კინოფილმები

პ. კ.
(პ. კუშიანი)

ა. მ. კ.
(ა. მ. პაიხუნი)

საგაზრო უმთხანხემა

349 საგაზრო სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ლაოსის სამეფოს შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ლაოსის მეფის მთავრობამ,

რომელთაც სურთ თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე განახორციელონ და განავითარონ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობა,

გადაწყვიტეს დადონ ეს უმთხანხემა და ამ მიზნით თავ-თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ — სსრკ-ს სი ნიკოლოზის ძე კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

ლაოსის მეფის მთავრობამ — გენერალი ფუმი ნოსავანი, პრემიერმინისტრის მოადგილე, ფინანსთა მინისტრი,

რომლებიც თავ-თავიანთი რწმუნებების გაცვლის შემდეგ, რწმუნებებისა, რაც ჭეოროვნად გაფორმებული და სრულ წესრიგში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემოთაღნიშნულზე:

მუხლი 1

სსრ კავშირის მთავრობა და ლაოსის მეფის მთავრობა თავ-თავიანთ ქვეყნებში მოქმედი კანონებისა და წესების შესაბამისად მიიღებენ ყველა ზომას, მიმართულს ამ შეთანხმების მიხედვით საქონლის ექსპორტისა და იმპორტისათვის ხელის შეწყობისაკენ.

კერძოდ, თუ საბაჟო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საქონლის უბაჟოდ შემოზიდვას ან გაზიდვას, ერთი ქვეყნიდან მეორეში იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის მიმართ ორივე მთავრობა გამოიყენებს საბაჟო ტარიფის მინიმალურ განაკვეთებს და, თითოეული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მაქსიმალურად შეამსუბუქებს ყველაფერს, რაც კი ეხება საბაჟო წესებს და ფორმალობებს და საგარეო ვაჭრობის სხვა წესებსა და ფორმალობებს.

თითოეული მთავრობა უდიდესი კეთილმოსურნეობით განიხილავს იმ წინადადებებს, რომლებიც შეიძლება მეორე სახელმწიფომ წამოაყენოს მის განსახილველად იმ მიზნით, რომ გაადვილდეს და უფრო მჭიდრო გახდეს ორი ქვეყნის სავაჭრო კავშირი.

მუხლი 2

სსრ კავშირის მთავრობა ნებას რთავს ექსპორტირებულ იქნეს ლაოსის სამეფოში და ლაოსის მეფის მთავრობა ნებას რთავს იმპორტირებულ იქნეს სსრ კავშირიდან ამ შეთანხმების დანართ „ა“ სიაში აღნიშნული საქონელი.

ასევე ლაოსის მეფის მთავრობა ნებას რთავს ექსპორტირებულ იქნეს სსრ კავშირში და სსრ კავშირის მთავრობა ნებას რთავს იმპორტირებულ იქნეს ლაოსის სამეფოდან ამ შეთანხმების დანართ „ბ“ სიაში აღნიშნული საქონელი.

აღნიშნული სიები შეიძლება დაზუსტდეს და შეიცოს ორივე მთავრობის ორმხრივი თანხმობით.

ორივე მთავრობა ეცდება ორივე ქვეყანას შორის საქონელბრუნვის თანხა ერთი წლის მანძილზე გაზარდონ 10 მილიონ ახალ ფრანგულ ფრანკამდე.

მუხლი 3

2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი და ექსპორტი განხორციელდება თითოეულ ქვეყანაში მოქმედი ექსპორტის, იმპორტისა და სავალუტო კონტროლის წესების შესაბამისად.

მუხლი 4

ამ შეთანხმების მიხედვით მიწოდებული საქონლის ფასები დადგინდება მსოფლიო ფასების, ესე იგი შესაბამისი საქონლის ძირითადი ბაზრების ფასების ბაზაზე.

მუხლი 5

ორივე მთავრობის კომპეტენტური ორგანოები კეთილმოსურნედ განიხილავენ საბჭოთა და ლაოსური საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომლებიც აღნიშნული არ არის „ა“ და „ბ“ სიებში.

მუხლი 6

ამ შეთანხმების შესრულებიდან გამომდინარე ყველა გადასახდელი სსრ კავშირსა და ლაოსის სამეფოს შორის, ისევე როგორც ყველა სხვა გადასახდელი ორ ქვეყანას შორის, განხორციელდება ამავე რიცხვში ხელმოწერილი გადასახდელი შეთანხმების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 7

კონტრაქტები, დადებულნი ამ შეთანხმების მოქმედების პერიოდში და შეუსრულებულნი მისი მოქმედების ვადის გასვლის დღისათვის, შესრულებულ იქნება ამ შეთანხმების დადგენილებათა შესაბამისად.

მუხლი 8

სსრ კავშირის მთავრობა და ლაოსის მეფის მთავრობა დანიშნავენ თავ-თავიანთ წარმომადგენლებს და ისინი ერთ-ერთი მთავრობის თხოვნით შეხვედებიან ერთმანეთს იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან ამ შეთანხმების, აგრეთვე ამავე რიცხვში ხელმოწერილი საგადასახდელი შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით, და სსრ კავშირსა და ლაოსის შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისაკენ მიმართული რეკომენდაციების შესამუშავებლად.

მუხლი 9

ეს შეთანხმება შესაბამისად რატიფიცირებულ უნდა იქნეს თითოეული ქვეყნის კონსტიტუციური პროცედურის თანახმად და ძალაში შევა 15 დღის შემდეგ მისი რატიფიკაციის შესახებ ნოტების გაცვლის დღიდან.

შეთანხმება დადებულია ერთი წლით.

იგი შეიძლება გაგრძელებულ იქნეს მისი მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე წერილების გაცვლის გზით ანდა შეიცვალოს ორ მთავრობას შორის მოლაპარაკების გზით. იგი შეიძლება დენონსირებულ იქნეს, თუკი გაფრთხილება სამი თვით ადრე მოხდება.

დადებულია მოსკოვში 1962 წლის 1 დეკემბერს ორ ეგზემპლარად, თითო-
 ეული რუსულ, ლაოსურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ყველა სამ ტექსტს თა-
 ნაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური
 რესპუბლიკების კავშირის მთავრობის
 რწმუნებით
 ა. კოსიგინი.

ლაოსის მეფის მთავრობის
 რწმუნებით
 ფუმი ნოსაჰანი.

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ
 1963 წლის 17 იანვარს; ლაოსის მეფის მთავრობის მიერ — 1962 წლის 21 დე-
 კემბერს.

რატიფიკაციის შესახებ ნოტების გაცვლა მოხდა 1962 წლის 21 დე-
 კემბერს — 1963 წლის 21 იანვარს.

დ ა ნ ა რ თ ი
 სსრ კავშირისა და ლაოსს შორის
 1962 წლის 1 დეკემბერს დადებული
 სავაჭრო შეთანხმებისა

ს ი ა „ა“

მანქანები და მოწყობილობა:

ჩარხების

ელექტროტექნიკური და ენერგეტიკული მოწყობილობის
 კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მოწყობილობის

სამშენებლო მოწყობილობის

საგზაო-სამშენებლო მოწყობილობის

სატელეფონო კავშირის მოწყობილობის ჩათვლით

სატრანსპორტო საშუალებანი:

სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების

მოტოციკლებისა და მოტოროლერების ჩათვლით

შავი და ფერადი ლითონები და მათი ნაწარმი

ნავთობპროდუქტები

ქიმიური პროდუქტები

ფარმაცევტული საქონელი და მედიკამენტები ტიბეტური

მედიცინის საქონლის ჩათვლით

სასურსათო საქონელი (ფქვილი, შაქარი, შედედებული რძე და სხვა)

ბამბუელის ქსოვილები და სხვა და მათი ნაწარმი

კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი:

სათების, ფოტოაპარატების, ველოსიპედების, მაცივრების, რადიომიმღე-
 ბების და სხვათა ჩათვლით

კინოფილმები

წიგნები, პერიოდული გამოცემები, ფილატელია, გრამფირფიტები
 სხვა საქონელი (მხარეთა მორიგებით).

ა. პ.
 (ა. კოსიგინი).

ფ. ნ.
 (ფუფი ნოსაჰანი).

დასართი

სსრ კავშირსა და ლაოსს შორის
 1962 წლის 1 დეკემბერს დადებული
 საგაქრო შეთანხმებისა

ს ი ა „ბ“

ქვირფასი ჯიშის მერქანი
 ბამბა და სხვა მცენარეული ბოჭკოები
 ტყავის ნედლეული, მსხვილი
 ცხოველური წარმოშობის სხვა საქონელი
 თამბაქო

ზეთოვანი კულტურების თესლი
 ეგზოტიკური ფისები (სტიკლაკი და სხვა)
 ყავა
 ჩაი
 ხილი

სამკურნალო-ტექნიკური ნედლეული
 კინოფილმები
 წიგნები, პერიოდული გამოცემები, ფილატელია, გრამფირფიტები,
 ცოცხალი ცხოველები ზოოპარკებისა და მეცნიერული მიზნებისათვის
 კუსტარულ-მხატვრული ნაწარმი
 სხვა საქონელი (მხარეთა მორიგებით).

ა. პ.
 (ა. კოსიგინი).

ფ. ნ.
 (ფუფი ნოსაჰანი).

საგადასახდელი შეთანხმება

350 საგროთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და
 ლაოსის სამეფოს შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ლაოსის მეფის მთავრობამ,

რომელთაც სურთ თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ხელი შეუწყონ გადასახდლების განხორციელებას ორ ქვეყანას შორის,

გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება და ამ მიზნით თავ-თავიანთ რეზერვებსა და პარტიკულარულ ბუღებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ — ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე,

ლაოსის მეფის მთავრობამ — გენერალი ფუმი ნოსავანი, პრემიერ მინისტრის მოადგილე, ფინანსთა მინისტრი.

რომლებიც თავ-თავიანთი რწმუნებულების გაცემის შემდეგ, რწმუნებულებისა, რაც ჭეშოვნად გაფორმებული და სრულ წესრიგში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემოთოყვანილზე:

მუხლი 1

ყველა გადასახდელი საბჭოთა კავშირსა და ლაოსის სამეფოს შორის განხორციელდება სსრ კავშირში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის საშუალებით და ლაოსში ლაოსის ეროვნული ბანკის საშუალებით.

ამ მიზნით სსრ კავშირის მთავრობის სახელით მოქმედი სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი ლაოსის ეროვნული ბანკის სახელზე გახსნის „ლაოსის ანგარიშად“ წოდებულ მიმდინარე ანგარიშს ახალ ფრანგულ ფრანკებში, რომელიც ანგარიშის ვალუტა იქნება.

თავის მხრივ ლაოსის მეფის მთავრობის სახელით მოქმედი ლაოსის ეროვნული ბანკი სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის სახელზე გახსნის „საბჭოთა ანგარიშად“ წოდებულ მიმდინარე ანგარიშს ახალ ფრანგულ ფრანკებში, რომელიც ანგარიშის ვალუტა იქნება.

აღნიშნული ანგარიშები უპროცენტო იქნება და არც ერთი ბანკი ამ ანგარიშების წარმოებისათვის საკომისიო გასამრჯელოს არ მოითხოვს.

მუხლი 2

სსრ კავშირსა და ლაოსს შორის სავაჭრო ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა კონტრაქტი და ფაქტურა შედგენილი იქნება ახალ ფრანგულ ფრანკებში ანდა სხვა თავისუფლად კონვერსირებად ვალუტაში. თავისუფლად კონვერსირებადი სხვა ვალუტების გადაანგარიშება ახალ ფრანგულ ფრანკებზე განხორციელდება კონტრაქტის ან ფაქტურის გადაანგარიშების დღისთვის ვალუტის ქვეყანაში არსებული პარიტეტული ოფიციალური კურსის მიხედვით.

მუხლი 3

ის თანხები, რომლებიც სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკში შევა ლაოსის ეროვნული ბანკის სასარგებლოდ, შეტანილ იქნება „ლაოსის ანგარიშის“ კრედიტში. ლაოსის ეროვნული ბანკის განკარგულებით განხორციელებული ყველა გადასახდელი შეტანილ იქნება ამ ანგარიშის დებეტში.

ის თანხები, რომლებიც ლაოსის ეროვნულ ბანკში შევა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის სასარგებლოდ შეტანილ იქნება „საბჭოთა ანგარიშის“

კრედიტში. სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის განკარგულებით განხორციელებული ყველა გადასახდელი შეტანილ იქნება ამ ანგარიშის დებეტში.

მუხლი 4

თუკი რომელიმე თარიღისათვის ერთ-ერთ ანგარიშზე წარმოიქმნება სალდო, რომელიც გადაამეტებს 3 მილიონ ახალ ფრანგულ ფრანკს, მაშინ ეს სალდო დებიტორმა მხარემ უნდა აანაზღაუროს საქონლის მიწოდებით ექვსი თვის მანძილზე. საქონლის ნომენკლატურა და რაოდენობა განისაზღვრება ურთიერთშეთანხმებით ამავე თარიღს ხელმოწერილი სავაჭრო შეთანხმების დანართი „ა“ და „ბ“ სიების ფარგლებში ისე, რომ გათვალისწინებული იქნეს დებიტორი მხარის შესაძლებლობანი.

თუ ექვსი თვის გასვლის შემდეგ კვლავ დარჩება 3 მილიონ ახალ ფრანგულ ფრანკზე მეტი დებიტის სალდო, მაშინ ამავე თარიღს ხელმოწერილ სავაჭრო შეთანხმების 8 მუხლში მოხსენიებულ მთავრობათა წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან, რათა შეიმუშაონ რეკომენდაციები, მიმართულნი ამ ნამეტის დასაფარავად.

წლის ბოლოს მოხდება ზემოაღნიშნული ანგარიშების შედარება და შესაძლო სალდო ანაზღაურებულ იქნება ამ მუხლის ზემოაღნიშნულ დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 5

ამ შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი და ლაოსის ეროვნული ბანკი გააგრძელებენ შენატანების მიღებას და განახორციელებენ გადასახდელებს მისი მოქმედების პერიოდში დადებული კონტრაქტების მიხედვით. ამ ოპერაციების დამთავრების შემდეგ 1 მუხლში აღნიშნულ ანგარიშებზე წარმოქმნილ სალდოს დებიტორი მხარე ანაზღაურებს 4 მუხლის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 6

თუკი ამ შეთანხმების დადგენილებათა მოქმედების პერიოდში შეიცვლება ახალი ფრანგული ფრანკის ოქროს შემცველობა, მაშინ 4 მუხლში მოხსენიებული საბჭოთა და ლაოსის ანგარიშების სალდო და 3 მილიონი ახალი ფრანგული ფრანკი აღნიშნული ცვლილების დღისათვის ავტომატურად პროპორციულად უნდა იქნეს გადაანგარიშებული.

მუხლი 7

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი და ლაოსის ეროვნული ბანკი წერილების გაცვლის გზით დაადგენენ ამ შეთანხმების შესრულების ტექნიკურ წესს.

მუხლი 8

ეს შეთანხმება შესაბამისად რატიფიცირებულ უნდა იქნეს თითოეული ქვეყნის კონსტიტუციური პროცედურის თანახმად და ძალაში შევა 15 დღის შემდეგ მისი რატიფიკაციის შესახებ ნოტების გაცვლის დღიდან.

შეთანხმება დადებულია ერთი წლით.

იგი შეიძლება გაგრძელებულ იქნეს მისი მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე წერილების გაცვლის გზით ანდა შეიცვალოს ორ მთავრობას შორის მოლაპარაკების გზით. იგი შეიძლება დენონსირებულ იქნეს, თუკი გაფრთხილება სამი თვით ადრე მოხდება.

დადებულია მოსკოვში 1962 წლის 1 დეკემბერს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ, ლაოსურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ყველა სამ ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის
მთავრობის რწმუნებით
ბ. კოსიგინი.

ლაოსის მეფის მთავრობის
რწმუნებით
ფუმი ნოსაპანი.

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1963 წლის 17 იანვარს; ლაოსის მეფის მთავრობის მიერ — 1962 წლის 21 დეკემბერს.

რატიფიკაციის შესახებ ნოტების გაცვლა მოხდა 1962 წლის 21 დეკემბერს — 1963 წლის 21 იანვარს.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

351 კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალ-ისტური რესპუბლიკების კავშირსა და დანიის სამეფოს შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და დანიის სამეფოს მთავრობამ, რომელთაც სურთ ორივე ქვეყანას შორის განავითარონ კულტურული კავშირი სუვერენიტეტის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების საფუძველზე და რომელიც ისწრაფვიან ამ დარგში თანამშრომლობისა და გაცვლა-გამოცვლის გზით გააუმჯობესონ ურთიერთგაგება და განამტკიცონ მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და დანიის ხალხთა შორის, დარწმუნებულნი იმაში, რომ ეს წარმოადგენს სასარგებლო წვლილს მშვიდობიანობის საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცების საქმეში, გადაწყვიტეს დაედოთ ეს შეთანხმება.

მუხლი 1

შეთანხმების დამდები მხარეები ხელს შეუწყობენ:

1. კულტურული თანამშრომლობის განვითარებას ორ ქვეყანას შორის თეატრის, კინოს, სახვითი ხელოვნების, მუსიკის სფეროში იმ გზით, რომ ერთ-ერთი



მანეთს გაუცვლიან ხელოვნების, ლიტერატურის, პრესის დარგის დელეგაციებსა და ცალკეულ მოღვაწეებს, მოაწყობენ მსახიობების, ცალკეული ანსამბლების გასტროლებს, მხატვრულ გამოფენებს და სხვ.;

2. საბჭოთა კავშირისა და დანიის მწერლებისა და კომპოზიტორების ნაწარმოებთა უფრო ფართო გაცნობას შესაბამისად სსრ კავშირში და დანიაში, აგრეთვე მეორე ქვეყნის ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა და კულტურის შესწავლას;

3. კავშირურთიერთობის განვითარებას მეცნიერების, უმაღლესი სწავლა-განათლებისა და განათლების დარგში დელეგაციებისა და ცალკეული მეცნიერების, მასწავლებლების, ასპირანტებისა და სტუდენტების გაგზავნის და პუბლიკაციების, სამუზეუმო ექსპონატების გაცლა-გამოცვლის გზით, აგრეთვე მეცნიერული მიზნებისათვის ბიბლიოთეკებისა და არქივების უფრო ფართო გამოყენების გზით;

4. სასწავლო, შემეცნებითი ფილმების, დიაფილმების და მაგნიტოფონის ჩანაწერების გაცლა-გამოცვლას არაკომერციულ საფუძველზე;

5. მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში სპეციალისტების სამეცნიერო-ტექნიკურ გაცლა-გამოცვლას;

6. საბჭოთა კავშირისა და დანიის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს შორის კულტურული კავშირურთიერთობის შეუფერხებელ განვითარებას, იგულისხმება, რომ ამ კავშირურთიერთობის პრაქტიკული განხორციელება თვით ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების საქმეა.

მუხლი II

შეთანხმების დამდები მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას ატომური ენერჯიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში და ნაცვალგების საფუძველზე, იმ ფარგლებში, რაც საიდუმლო ცნობებს არ შეეხება, ხელს შეუწყობენ გაცლა-გამოცვლის განხორციელებას ამ დარგში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერჯიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტსა და ატომური ენერჯიის დანიის კომისიას, აგრეთვე ატომური ენერჯიის დარგში მომუშავე დანიის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტებს შორის.

მუხლი III

